

მოკლე აღწერა: მირას და ტომს ერთი რამოდენიმეწლიანი ურთიერთობის შემდეგ, მოულოდნელი სიხარული ეწვევათ პატარას სახით. თუმცა ამ სიხარულს საფიქრალიც ერთვის თან, რადგან მირა და ტომი ჯერ კიდევ სწავლაში არიან ჩაფლულები. საბედნიეროდ არსებობს „საოჯახო სერვისი“. აქ შეიტყობს წყვილი, თუ დახმარების რა საშუალებებს უნივერსიტეტი აუგსბურგი სთავაზობს, მათ, ვისაც სწავლის და ოჯახის ერთმანეთთან შეთავსება სურს.

ტომი: - ოჰ როგორ მძულს შაბათობით საყიდლებზე წასვლა!

მირა: - მე კიდევ მიყვარხარ იმის გამო რომ მაინც წამომყევი.

გამყიდველი: - სულ 15,80 ევროსია.

ტომი: - კიდევ რაღა დაგრჩა?

მირა: - აფთიაქში და კიდევ სილამაზის სალონში უნდა შევიარო.

ტომი: - კარგი, რას იტყობი შენ ფერი თავად რომ აარჩიო, ამასობაში კი მე აფთიაქში წავიდოდი?

მირა: კარგი ასე გავაკეთოდ. მე ყელის ტკივილისთვის რაიმე წამალი წამომიღე და იქნებ ბებოს ტაბლეტებიც გეყიდა? აჰ! კიდევ ფეხმძიმობის ტესტიც მიყიდე!

ტომი: - რა თქმა უნდა ვიყიდი! ..ჰმ . რაა? ფეხმძიმობის ტესტი? მეხუმრები?

ავტორი: არა ის არ ხუმრობს. ხუთი წლის ურთიერთობის შემდეგ, ტომისგან და მირასგან პატარა ოჯახი შედგა. მაგრამ, ამის გამო, რომ მათი სწავლა არ დაზარალდეს, ვნახოთ უნივერსიტეტი დახმარების რა საშუალებებს სთავაზობს.

ქ-ნ ნისლერი: - პირველ რიგში მოგილოცავთ. ბუნებრივია სიხარულთან ერთად ახლა იმაზეც ფიქრობთ თქვენს სწავლას ოჯახს როგორ შეუთავსებთ. სწორედ ამიტომ ვარ მეც აქ. აბა გისმენ რა კითხვები გაწუხებთ?

მირა: - ცოტა არ იყოს და ჩვენც გაოცებულები ვართ. ამიტომ გვაინტერესებს როგორ წარიმართება ჩვენი სწავლის ბედი და რა საზრუნავი გველოდება?

ტომი: - შევძლებთ საერთოდ, ჩვენ როგორც სტუდენტები მშობლების გარეშე ამის დაფინანსებას? მაგალითად მამაჩემი არ იქნებოდა დიდად იმით აღფრთოვანებული, ჩემი ოჯახის დასაფინანსებლად რომ თავისი ავტობუსი გაეყიდა.

ქ-ნ ნისლერი: - ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი მოგვარებადია. ფინანსურად შეგიძლბუქდებათ სიტუაცია იმდენად, რამდენადაც სასწავლო გადასახადისგან იქნებით განთავისუფლებულნი. ამისათვის მხოლოდ დაბადების მოწმობის ან მშობლის პასპორტის წარდგენა იქნება საჭირო. თქვენ კი როგორც მშობლებს აკადემიური წელი შეგიძლიათ აიღოთ, რომელსაც ის უპირატესობა აქვს, რომ გამოცდებზე მონაწილეობის უფლება გექნებათ.

ტომი: - ეს გამოცდებზე მონაწილეობის უფლება ძალიან კარგი რამეა, მაგრამ ამისათვის როგორ უნდა მოვემზადოთ? რამდენად შეცვლის ეს ჩვენს სასწავლო გრაფიკს?

ქ-ნ ნისლერი: - ყველაზე მთავარია, რომ თქვენი სასწავლო რეჟიმი რაც შეიძლება ნაკლები თავისუფალი დროით დატვირთოთ. ეს გაგიადვილებთ, რომ უფრო ეფექტურად ისწავლოთ და სასწავლო პროცესშიც ჩაბმულნი იყოთ. ამასთან საკმარისი დრო გექნებათ თქვენი პატარასთვის. სწორი ორგანიზება ყველაფერს ნიშნავს. ამიტომ თავს ნუ გაიგიჟებთ. თუ კითხვა გექნებათ, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მოგვმართოდ.

მირა: - და ლექციების დროს რით შეუძლია უნივერსიტეტი პატარას მოვლაში შეგვეშველოს?

ქ-ნ ნისლერი: - არის რაღაც რაღაცეები. მაგრამ უკეთესი იქნებოდა თუ ინფორმაციისთვის პირდაპირ ადგილზე მიაკითხავდით. „ფრებდაქსი“ აქვე უნივერსიტეტშია. იქ შეგიძლიათ იკითხოთ რეგისტრაცია როგორ ხდება და ა. შ.

მირა: - ძალიან დიდი მადლობა..ჩვენ კიდევ მოგაკითხავთ!

მირა: - გამარჯობა! ჩვენ მალე ბავშვი შეგვემინება... და როგორც მომავალი მშობლები გვსურს ინფორმაცია მივიღოთ რეგისტრაციის მიმდინარეობის შესახებ.

ქ-ნ მერლე: - სიამოვნებით.. ოფიციალურად შემდეგ დაგარეგისტრირებთ, როცა უკვე მშობლები გახდებით. ამ შემთხვევაში მომლოდინეთა რიგში ჩაეწერებით. იქამდე ისე მოგაწვდით ინფორმაციას. ჩვენ გახლავართ მშობელთა ინიციატივა და ვხელმძღვანელობთ ბაგა-ბაღის ჯგუფებს. ბაგა-ბაღი არის ძალიან პატარებისთვის სამი თვიდან ერთ წლამდე. ამ ჯგუფში ექვსი ბავშვი გვყავს და ორი მასწავლებელი. ხოლო მოზრდილთა ჯგუფში ერთიდან სამ წლამდე ბავშვები გვყავს. ამჟამად 12 ბავშვია, რომლებიც სხვადასხვა ადგილებზე გვყავს ესენია: „ფრებდაქსის“ სახლი და ახალ მშენებლობაშიც, რომელსაც შემდეგ „ცისარტყელას“ დავარქმევთ და ასევე გოგინგენში* გვყავს კიდევ ერთი გჯუფი სახელად „უნი-დათუნიები“.

ტომი: - რამდენი ხანი შეიძლება აქ ბავშვი დავტოვოთ?

ქ-ნ მერლე: - სამუშაო საათები 07:30- დან გვაქვს. ბავშვი შევიძლიათ 13:00-მდე ან სულაც 16:00 -მდე დატოვოთ. ბაგა-ბაღის ბავშვები 08:00-დან 12:30 საათამდე გვყავს და იმის მიხედვით თუ ვის როგორ ესაჭიროება, შეუძლია კვირაში ორი, სამი ან მთლიანად ხუთი დღეც კი ატაროს ბავშვი ბაღში. ასევე ძალიან საინტერესოა ის, რომ ეს მშობელთა კავშირია და თავად მშობლები არიან აქტიურად ჩაბმულნი. ვაკეთებს საზაფხულო ზეიმებს, საშობაო ბაზარს, საშემოდგომო კარტოფილის ზეიმს. ანუ ყოველთვის არის საქმე და რაც მთავარია მშობლები არიან ინიციატორები. ასევე ძალიან კარგია სხვა მშობლებთან კონტაქტი, რომლებსაც მსგავსი სიტუაცია აქვთ, სწავლობენ და ბავშვები ყავთ. ჩვენ ვცდილობთ, რომ მშობლები ერთმანეთთან დავაახლოვოთ. ამ მიზნით ვაწყობთ მშობელთა საღამოებს, ვსაუბრობთ ბავშვებზე. მშობლის როლი მათთვის მაინც ახალია და ხშირად თავს მყარად ვერ გრძნობენ.

ტომი: - აჰა! .. კარგით მაშინ მაღლობის მეტი არაფერი გვეთქმის.. მართლაც ძალიან კარგი საქმიანობაა.

ავტორი: ახლა უკვე კარგად ინფორმირებული ტომი და მირა გაუდგებიან სახლისაკენ გზას.

მირა: - ჰმ! ახლა საღამოობით სპორტზე კი არა დილაობით ბაგა-ბაღში მოგვიწევს სიარული.. ასე იცვლება დრო.

ტომი: - თუ ღამით პატარა არ დამაძინებს, დილაობით მასთან ერთად გავაკეთებ ხოლმე სპორტს. არა პატარა?

შენიშვნა:

* გოგინგენი (Göggingen) არის ქალაქ აუგსბურგის ერთ-ერთი რაიონი, რომელიც აუგსბურგის უნივერსიტეტთან ახლოს მდებარეობს.

ავტორები: ლაურა იავორევი, ტერეზა ფონტანა

Übersetzt von
Natia Tsikelashvili